№ 259

ოთხშაბათი, 29 ნოემბერი, 1900 წ.

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 259

ოთხშაბათი, 29 ნოემბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

**25,000 მანეთს**

**ვაძლევ სესხად,**

ვინც სოფლის ანუ ქალაქის მამულს დამიგირავებს, ისე-კი, რომ პირველი გირავნობის ქაღალდი მომცეს.

მამულის დაგირავების მსურველს ვსთხოვ ფოსტით წარმოგზავნოს თავისი წინადადება ამ ადრესით: მოთხოვნამდე, მიეცეს მე 242 №-რის კვიტანციის წარმომადგენელს. (1—242—1)

**მაღაზია**

ქართველთა საალებ-მიმცემო ამხანაგობისა

**„შუამავალი“**

გადატანილ იქმნა გოლოვინის პროსპექტზედ ოქოევის შენობაში (ცირკის გვერდზედ).

აუწყებს რა გამგეობა „შუამავალისა“ პატივცემულ საზოგადოებას, რომ მაღაზია შეახლებულ და შევსებული არის ყოველ გვარის საუკეთესო საქონლითა, როგორც საბაკალეულო-საგასტრონომეულო, აგრეთვე სხვა-და-სხვა სასმელებითა და სანოვაგითა.

ფასი ყველაფერზედ ზომიერი ‍და გადაჭრილია.

გამგეობას სრული იმედი აქვს საზოგადოების ყურადღებისა და თანაგრძნობისა. (5—238—4)

**პირველი კერძო სამკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ზაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**სალამოობით:**

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**გ. ა. თარხანოვი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

**გ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

მკურნალის

მიხეილ ბედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**კ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ ბედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

**დ. ა. ბედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**კ. ლ. მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**სალამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. გელოვანოვი**—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი სავინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ ბედევანიშვილი

თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკის დიღომის სარდაფებში ინახება გასასყიდად

საუკეთესო ღირსების

**ღვინოები**

მსურველთ უნდა მიჰმართონ სოფ. დიღომში მამულის გამგეს ი. ა. გუნცაძეს. (4—231—4)

## ახალი ამბავი

*** 1899 წ. კახელ მევენახეთა კრებაზედ არჩეულ კომისიას, რომელსაც დავალებული ჰქონდა მევენახეთა და მეღვინეთა კრების პროგრამის შემუშავება, სასურველად ვერ უცვნია 1901 წლისთვის დაინიშნოს ადგილობრივ მევენახეთა კრება. კომისიას აზრადა აქვს მომავალ სამეურნეო გამოფენის დროს გამართოს ამიერ-კავკასიის მევენახეთა და მეღვინეთა საზოგადო კრება. ამისათვის კომისიას მიუმართავს ამიერ-კავკასიის სოფლის მეღვინეთათვის და უთხოვნია, გვაცნობეთ რა და რა საგნებია სასურველი შევიტანოთ მომავალ კრების პროგრამაშიო. „ახ. მიმ.“.

*** შაბათს, 25 ნოემბერს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის დარბაზში, რკინის გზათა მთავარ ინსპექტორის გორჩაკოვის თავმჯდომარეობით, კრება: მოხდა, რომელსაც დაესწრნენ: ინჟენერნი იოლშინი და სიმბერგი, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ინჟ. ვედენეევი, შავი-ქვის მწარმოებელთა კრების საბჭოს თავმჯდომარე გ. ზდანოვიჩი, შავი-ქვის მსხვილ მწარმოებელ-ექსპერტთა წარმომადგენელნი ბ-ნნი ემერიკი, თავ. პ. წულუკიძე, ს. წერეთელი, წვრილ მწარმოებელთა წარმომადგენელი კ. მოდებაძე და სხვ. კრებას ლაპარაკი ჰქონდა შავი-ქვის წარმოების სხვადა სხვა საჭირო საგნების შესახებ. კრებამ განიხილა აგრეთვე მწარმოებელთა სხვა-და-სხვა შუამდგომლობანი. ბ-ნი გორჩაკოვი დაჰპირებია—შავი-ქვის წარმომადგენელთ ყველა ამ შუამდგომლობებს სხდომის ოქმითურთ სამინისტროს წარვუდგინო.

*** როგორც შევიტყეთ, ამ კვირია ქართული წარმოდგენა აღარ გაიმართება. შემდეგი წარმოდგენა იქმნება ხუთშაბათს, 7 დეკემბერს. წარმოადგენენ ამ დღეს, ქ-ნ ეფემია მესხის საბენეფისოდ, ალ. დიუმას დრამას „დენიზას“. თვით მობენეფისეს გარდა ამ წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ ბ-ნნი ვ. ალექსი-მესხიშვილი, ვ. აბაშიძე, კ. მესხი და სხვანი.

*** როგორც „ახ. მიმ.“ ს ქუთაისიდგან სწერენ, განზრახვა აქვთ

## ფელეტონი

### კავკავის ავ-კარგი

მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს.—მანდილოსანთა საზოგადოება.—მათი საერთო საქმის უკან-სვლა და ამისი მიზეზები.—წიგნებით ვაჭრობის საქმე.—ხელოსანთა შორის ახალი ამხანაგობა.—სასურველი შედეგი ახალის ჩვეულებისა.—სამაგალითო საქმე ერთის პატიოსანის ქართველისა—სიტყვას ყოველთვის საქმე სჯობიან.

დიდი ხანია თქვენს უმორჩილესს მონას კავკავიდგან „ივერიის“ მკითხველებისათვის არაფერი ამბავი მოუწერია. ამის მიზეზი, სხვათა შორის, ისიც არის, რომ იტყვიან: მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო. ბევრის ჩემისთანისათვის შეკაზმული ცხენი-კი არა, უხეირო ჯაგლაგიც ზოგჯერ სანატრელია, რადგან მართლის თქმა მათ იაფად არ უჯდებათ ხოლმე, მაგრამ რა გაეწყობა, როდესაც ყველა ადამიანის ბუნება ვერ იტანს დუმილს საზოგადო ცხოვრების შესახებ და ბოლოს მაინც იკრებს მოქალაქობრივ სიმამაცეს და ყველა ავ კარგის გამჟღავნებას არჩევს, რადგანაც „თქმით ჭმუნვა მაინც შემცირდებისა“.

ვინც კარგად დაჰკვირვებია ქართველის ხალხის საზოგადო ცხოვრებას, უეჭველად შენიშნავდა, რომ ყოველთვის, რამე საზოგადო საქმის დასაწყისს, თავდაპირველად დიდის ხალისით ვეგებებით. მაგრამ გაივლის მცირე ხანი თუ არა, ჩვენისავე გულგრილობით, დაუდევრობით, ბევრს საზოგადო საქმეს ან ბოლო ელება სამუდამოდ და ან ისე საცოდავად ჰლაფავს სულს, რომ მისი არსებობა მხოლოდ სასიკვდილოდ განმზადებულს მოგაგონებთ. ამ საზოგადო მოვლენამ ზოგიერთ საქმეში აქ, კავკავშიაც იჩინა თავი. ხუთის წლის წინად აქაურმა ქართველმა მანდილოსნებმა საქებური საქმე დაიწყეს: გამართეს პატარა წრე, რომლის წევრები იკრიბებოდნენ მორიგად ხან ერთთან და ხან მეორესთან, ატარებდნენ დროს ხელსაქმის მუშაობითა და წიგნების კითხვით. ამასთან თავიანთ ხელის ნაწარმოებს აგროვებდნენ, ჰყიდდნენ და შემოსულის ფულით შემწეობას აძლევდნენ საზოგადო საქმეს. ამისთანა აზრიანი ცხოვრება და კეთილი მოქმედება აქაურის მშვენიერის სქესისა სიამოვნებას მოჰგვრიდა ყველა გონიერს ადამიანს, მაგრამ სხვა რა ყოფილა მუდმივი, რომ ეს წრეც ამდენ ხანს დარჩენილიყო. იჩინა თავი უაზრო თავმოყვარეობამ, შეეტაკნენ ერთმანეთს მოპირდაპირენი, შეიქმნა მითქმა-მოთქმა—ამან ის სთქვაო, იმან ის, და ამის გამო უმრავლესი რიცხვი წევრებისა მოშორდა საზოგადო წრეს. დარჩა მხოლოდ თავმჯდომარე, ხაზინადარი და ორიოდე სხვა წევრი; შემდეგ თავმჯდომარეც მოაკლდათ და დღეს დარჩა მხოლოდ ორიოდე ადამიანი, რომელნიც თავისს სასახელოდ არა სტოვებენ ამ წრეს და არჩევენ უფრო აზრიანად ცხოვრებას და დროს ატარებასაც, ვიდრე ლოტოებში სიარულსა და ოჯახისა და საზოგადოებისათვის უსარგებლოდ ყოფნას. როგორც ამბობენ, აზრად აქვთ შეგროვილის თანხიდგან კავკავში ჭრა-კერვის სკოლა გამართონ. აზრი კეთილი და პატიოსანია, მაგრამ ამ აზრის განხორციელებისათვის, ჩვენის აზრით, საჭიროა გადგომილ წევრების შემოერთებაც და საზოგადო საქმის ერთად წაყვანა. ამიტომ სასურველია, რომ ამ ჟამად წრის გამგებლები მოიწვევდნენ ყველა ყოფილ წევრებსაც და წარუდგენდნენ მათ შემოსავალ-გასავლის ანგარიშს. ამითი, უეჭველია, მოისპობა ის მითქმა-მოთქმაც, რომელიც არსებობს საზოგადოებაში ზოგიერთების შესახებ და სხვა არა-სასურველი ხმები, რომელსაც ავრცელებენ ბოროტი ენები. საზოგადოდ იტყვიან, რომ ცუდის ხმების გავრცელება, ჭორიკანობა და სხვა ამ გვარი ბოროტი საქციელი უსაქმურ დედაკაცების ჩვეულებააო, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ამ დედაკაცურს ჩვეულებას ბევრი ჩვენებური ვაჟბატონებიც არ აკლებენ ხელს.

„დრკუთ კაცთა გული ნიადაგ
ეძებს მოყვასთა ძვირებსა;
გული მშვიდი და მდაბალი
ძრახვას არ გაიკვირვებსა“!..

ზოგიერთი აქაური უსაქმო ვაჟბატონები დიდის გაფაციცებით ყურს უგდებენ, იქნება რასმე ყური მოჰკრან, სალაპარაკო საგანი გაიჩინონ და ათას ნაირად გაზვიადებულ-გადასხვაფერებული გაგონილი ხალხში გაავრცელონ. ვინ არ იცის, რამდენს ბოროტებას სჩადის ამისთანა სულმდაბალი ადამიანი, ვინ არ იცის, რომ „ენა უკლიტოდ მორბედი ქირია ულხინებელი“, მაგრამ უფრო ცუდია ის, თუ ცუდმა უაზრო ხმებმა ხალხში ნიადაგი იპოვა. წარმოიდგინეთ, რომ მართლა ვინც უაზრო მითქმა-მოთქმას ყურს უგდებს, ყველაფერი, რაც ესმის, მართალი ჰგონია, ყველაფერს თავისს გულის თქმას ჭორზედ ამყარებს, დიდს შეცდომას სჩადის. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამის მაგალითები არა ერთი ყოფილა აქ ამ მოკლე დროში, სადაც

„სიცოცხლე, აგრევ სიკვდილი
ხელთა უპყრია ენასა;
სისხლს დალვრის უბრალოთასა,
აჰყვება ვინ შესმენასა“.

ამ სამის წლის წინად აქ კავკავში ბ-ნის მესხიევის სახელობაზედ დაარსდა საამხანაგოდ ქართულის წიგნებით ვაჭრობა. თავდაპირველად ამ საქმესაც, როგორც მანდილოსნების წრეს, დიდის ხალისით მიეგებნენ, ყველა სიამოვნებით ეკიდებოდა და იხდიდა წლიურად, თვიურად განწესებულს გასახადს წიგნებით ვაჭრობის მოსაწყობადა და გასაძ-

სადგურ ქიათურას და ტყიბულს შორის განიერ ლიანდაგიანი რკინის გზა გაიყვანონო. ეს გზა დიდად სასარგებლო იქნება შავი-ქვის მწარმოებელთათვის, რადგანაც შავქვას ბათუმში ამ გზით უფრო ჩქარა გადაიტანენ. გამოკვლევას უკვე შესდგომიან.

* * კავკასიის მთავარ-მართებელმა გენერალ-ადიუტანტმა თავ. გ. ს. გოლიცინმა და იმისმა მეუღლემ 100 მანეთი შესწირეს ტფილისის რეალურ სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

* * საგუბერნიო სამკურნალო ადმინისტრაციის განკარგულებით ყველა მაზრისა და სოფლის მკურნალთათვის დაურიგებიათ პატარა აფთიაქები (საჭირო წამლები და საქირურგო მასალა), რათა მკურნალებმა მოგზაურობის დროს ავადმყოფთ დაუყოვნებლივ შეეწეობა აღმოუჩინონ ხოლმე.

* * ქ. ახალ-ქალაქში დააარსეს ქსენონი. ქსენონში ადგილი ექვსის ავადმყოფისათვის არის.

* * 7 დეკემბერს სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის ტფილისის განყოფილებაში მოხდება საჯარო ვაჭრობა იმ მამულების გასასყიდად, რომელთა პატრონებსაც არ შეუტანიათ ხვედრი სავადო გარდასახადი. გასასყიდად დანიშნულია 44 მამული: ერთი განჯის გუბერნიისა და 43—ქუთაისისა.

* * როგორც „ახ. მიმ.“-ს შეუტყვია, პარიჟის მსოფლიო გამოფენის კავკასიის განყოფილების ზოგიერთი სამეურნეო კოლექციები პარიჟისა, ნიუ-იორკისა, ფილადელფიისა, ლიონის და სხვა ქალაქის მუზეუმებს შეუძენიათ.

* * გუშინ, 28 ნოემბერს, ტფილისში რუსეთის ფოსტა არ მოსულა.

* * ქ. ქუთაისი. ამ რამდენისამე დღის წინად ჩვენს პოეტს ცახელს (თვალჭრელიძეს) თავისს ფერმაში, ქუთაისიდგან სამის ვერსის მანძილზედ, ოთხი ყაჩაღი დაესხა თავს და, რაც რამ ფული ან ძვირფასი ნივთები ჰქონდა სახლში, ყველა წაიღეს. თითონ ცახელის მოკვლაცა სდომებია ერთს ყაჩაღთაგანს, მაგრამ მეორეს ნება არ მიუცია და ამ რიგად სიკვდილს გადარჩენილა. დამნაშავენი ჯერ არ აღმოუჩენიათ.

* * იქიდამვე. 25 ნოემბერს ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების დარბაზში პატივცემულ კნ. ნინო მერაბის ასულის თავდგირიძის მოთავეობით აქაურის საკვირაო სკოლის სასარგებლოდ გაიმართა საღამო. საღამომ ჩვეულებრივ დიდძალი საზოგადოება მიიზიდა. უზარმაზარი დარბაზი ვერ იტევდა საზოგადოებას. საღამოს საგანი იმდენად თანასაგრძნობელია და ამასთან თვით მოთავე საღამოსი იმდენად პატივცემულია ჩვენის საზოგადოებისაგან, რომ სიმრავლე საზოგადოებისა საკვირველი არ არის. თითონ საღამო გონივრულად და ხელოვნურად იყო გაწყობილი, და საზოგადოება ნასიამოვნები და კმაყოფილი დარჩა. წმინდა შემოსავალი შვიდას მანეთს აღემატება.

* * რედაქციამ მიიღო ჟურნალ „მოამბის“ მე-X ნომერი. შინაარსი ამ ნომრისა: 1, „გიული“—მოთხ. შ. არაგვისპირელისა; 2, „ვერტერი“—გიოტესი, თარგ. ი—ნისა; 3, „შემოდგომა“—ლექსი ი. ევდოშვილისა; 4, „ცისარტყელა“;—კომედია 4 მოქ. ა. ცაგარლისა; 5, „ვეფხის-ტყაოსნის“ ყალბი ადგილები,—ალ. ალ—შვილისა; 6, „ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდგან“,—კ. აბაშიძისა; 7, „ინგლისის კონსტიტუცია მე-XIX საუკუნეში“; 8, „სამეგრელოს აღწერა“; 9, „უცხოეთის მიმოხილვა“—ლალისა.

* * განსვენებულ ბაბო ავალიშვილის საფლავზედ ძეგლის ასაგებად, დასაფლავების დღეს შეკრებილ ფულის გარდა, „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში შეუტანიათ 5 მანეთი 50 კაპ.

* * გაზ. „ახ. მიმ.“ სიტყვით, კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს განზრახვა აქვს გამოსცეს და სოფლის მცხოვრებლებს დაურიგოს ამ კომიტეტის ინსტრუქტორის ბ-ნ ბაშინჯაგიანის მიერ დარიგებანი ვაშლის ხის ჭიის მოსასპობლად.

## ქალაქის საბჭო
### 27 ნოემბერი

ამ დღეს ქალაქის საბჭომ განიხილა გამგეობის მოხსენება მომავალ, 1901 წლის ხმოსანთა არჩევნების დროს ქალაქის საარჩევანო ნაწილად გაყოფის შესახებ. როგორც გეწყით, დღემდის ხმოსანთა არჩევნები ტფილისში ერთად და ერთ ადგილას ხდებოდა. რადგანაც ქალაქი გაიზარდა და ხმოსანთა რიცხვმა იმატა, ბოლოს დროს ერთად და ერთ ადგილას არჩევნები, ქალაქის გამგეობის აზრით, მოუხერხებელი შეიქმნა. ამიტომ გამგეობამ შეიმუშავა პროექტი ქალაქის სამ საარჩევნო ნაწილად გაყოფის შესახებ. ამ პროექტის გარდა გამგეობამ სამი სხვა პროექტიც განიხილა,—ერთის პროექტით ქალაქი ორ ნაწილად უნდა გაყოფილიყო, მეორეთი—4 ნაწილად და მესამეთი—5 ნაწილად,—მაგრამ გამგეობამ მხოლოდ ეს პროექტი მოიწონა. სულ დღეს ქალაქში 5192 ამომრჩეველია. ახალის პროექტით პირველ საარჩევანო ნაწილში მოქცეული იქმნებიან 1, 2, 3 და 10 საპოლიციო ნაწილები, მეორეში—მე-4, 5 და 6 ნაწილები, მესამეში—მე-7, 8 და 9 ნაწილები.

ამ საგანმა საბჭოში ხმოსანთა შორის დიდი კამათი გამოიწვია. ი. მ. ალიხანოვი ამტკიცებდა, რომ საქმეს არაფერი ევნება, არჩევნები ერთ ადგილას რომ მოხდეს, მით უმეტეს, რომ ამომრჩევთა რიცხვი ცოტაა. თუ ერთ დღეს ვერ მოესწრო ხმოსანთა არჩევნები, შეიძლება მეორედ და მესამედ შესდგეს კრება დანარჩენ ხმოსანთა ამოსარჩევადაო. იმასვე, რომ არჩევნები ერთ კრების დროს და ერთ ადგილას უნდა მოხდესო, ამტკიცებდა გამგეობის წევრი თავ. ჩერქეზიშვილი.

ხმ. თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა დიდხანს ილაპარაკა ერთ კრებაში ხმოსანთა არჩევნების წინააღმდეგ. 1893 წელს თვით მე მოვახდინე ხმოსნების არჩევნები, განაცხადა თავ. არღუთინსკიმ, არჩევნებზედ დაესწრო 919 ამომრჩევლამდე და ამოღენა ხალხის ერთს კრებაში მონაწილეობამ ისე გააძნელა საქმე, რომ დილიდგან დაწყობილი კრება ნაშუაღამევის პირველ საათზედ ძლივს დასრულდა. 1897 წელს მე არ დავსწრებივარ და ვერას ვიტყვი მაშინდელის კრების შესახებ, ხოლო რაც შეეხება მომავალ 1901 წელს, ამომრჩეველთა რიცხვი ანგარიშით 5192 იქმნება, ესე იგი ოთხჯერ მეტი, ვიდრე 1893 წელს იყო. ყოვლად შეუძლებელი იქმნება ამოდენა ხალხის თანადასწრებით წესიერი არჩევანები მოხდეს. ამბობენ, ქალაქი რომ ნაწილებად დაიყოს, საბჭოში იმდენი ინტელიგენტი ხმოსანი არ გვეყოლება, რამდენის არჩევაც ერთ საარჩევნო კრებაზედ შეიძლებაო. ეს აზრი შემცდარია. ნასწავლი და ინტელიგენტი კაცები ქალაქის ყველა ნაწილსა ჰყავს და ყველგან ამოარჩევენ მათ. ესეც არ იყოს, ჩვენ ამორჩეულნი ვართ საზოგადოებისაგან, ამიტომ არ შეგვიძლიან ყური არ ვათხოვოთ საზოგადოების სურვილს და პრესსას, რომელნიც სამართლიანად თხოულობენ, საბჭოში ყველას თავისი წარმომადგენელნი ჰყავდეს. თავ. არღუთინსკის აზრს სხვანიც მიემხრნენ. დიდის კამათის შემდეგ საბჭომ 21 ხმის უმეტესობით 18 ხმის წინააღმდეგ დაადგინა მომავალ 1901 წელს ხმოსნების ამოსარჩევად ქალაქი სამს საარჩევნო ნაწილად გაიყოს.

ამავე სხდომაზედ საბჭომ განიხილა მომავალ წლის ქალაქის შემოსავლის ანგარიში. როგორც ამ ანგარიშიდგანა სჩანს, ქალაქს შემოსავალი ექმნება სულ 1,325,309 მან., 1900 წელთან შედარებით 80418 მანეთით მეტი. საბჭომ თითქმის უცვლელად დაამტკიცა ეს სავარაუდო ანგარიში.

## უცხოეთი

### ინგლის-ტრანსვაალის ომი.

კაპშტადტიდგან იუწყებიან, რომ აფრიკის ჟურნალ-გაზეთობა ერთობ თანაგრძნობით ეპყრობა ბურებს და ინგლისის პოლიტიკას სასტიკად ებრძვისო; იქაური ჟურნალ-გაზეთები ახლა უოველდღე მხოლოდ იმის ანგარიშებს და ჭპეშდვენ თურმე თუ ლორდი კიტჩნერი, ე. ი. ახალი მთავარ-სარდალი სამხრეთ აფრიკის ინგლისელ მხედრობისა, რა ბარბაროსობას სჩადის და სხ.

სამხრეთ-აფრიკაში მომხდარ ნამდვილ ამბების გამომჟღავნება, რომლებსაც ინგლისელები ესე ერთგულად ხელს აფარებენ და ჰმალავენ, აფრიკაში მცხოვრებს ჰოლანდიელებს საშინლად აღელვებს. ისე გამწვავებული იგინი არასოდეს არა ყოფილან, როგორც დღეს; ისინიც-კი, რომელნიც დღემდის ხალხის აჯანყებაში არავითარს მონაწილეობას არ იღებდნენ, ვეღარ ითმენენ და საშინლად ჰღელავენ.

როგორც გაზ. „Cape Times“ იუწყება, კაპის ახალშენი ამ ჟამად დიდად საშიშს მდგომარეობაში თურმე. გაზეთი ურჩევს მთავრობას, რაც-კი შეიძლება სასტიკი ღონისძიებანი მიიღოს და თვით სოფლებშიაც-კი სამარიწესი იქმნას შემოღებული.

ამავე დროს აფრიკანდერთა კონგრესისათვისაც ერთობ დიდი მზადება აქვთ და ჰოლანდიელთა დასიდგან ბევრი სასტიკს სიტყვას ამზადებს ინგლისელთა წინააღმდეგათ.

— როგორც მოგეხსენებათ, ამ წინაზედ განზრახვა ჰქონდათ ლორდი რობერტსი აეფეთქებინათ პრეტორიაში, მაგრამ პოლიციამ შეთქმულობა დროზედ აღმოაჩინა და ბოროტ-განმზრახველთ ხელი შეუშალა. როგორც იწერებიან, შეთქმულთ ნაღმი ეკკლესიაში ჩაუტანიათ და იმ დროს თურმე უნდა აეფეთქებინათ, როდესაც რობერტსი ეკკლესიაში იქმნებოდა, ინგლისელებმა და მათმა მომხრე მოსყიდულმა სამხრეთ აფრიკის ჟურნალ-გაზეთებმა, რასაკვირველია, დიდი განგაში შეჰქმნეს, მაგრამ ბურების საბედნიეროდ, დამნაშავენი

---

ლიერებლად. ყველანი იმ აზრით იყვნენ გატაცებულნი, რომ ამ უცხო მხარეში წიგნები გავევრცელებინათ და ამ საშუალებით ხელი შეეწყოთ შეძლებისა დაგვარად დედა ენისა და ხალხის გონების განვითარების გაძლიერებისათვის. მაგრამ გავიდა დრო, თვე, წელიწადები და ვერც ეს მოლოდინი გაგვიმართლდა სასურველად. ან როგორი ვაჭრობა შეიძლება წიგნებითა, როცა არც ერთი სახეირო წიგნი არ მოეპოვებათ და არ იბარებენ წიგნებს. ერთის სიტყვით, დაუდევრობისა და უთავდარიგობის წყალობით, შესაძლებელია, რომ მხოლოდ ერთი თუმნის წიგნები გაიყიდოს აქ წელიწადში, მაშინ როდესაც წელს ერთმა პატარა ბიჭმა მთელის ზაფხულის განმავლობაში ქ. პიატიგორსკში, სადაც ათიოდე ქართველი თუ მოიპოვება, მეტი არია, რვა თუმნის საღირალი ქართული წიგნები გაჰყიდა. მაშასადამე, ყველაფერი შესაძლებელია, თუ საქმეში საზოგადოდ მეტს მხნეობასა და ნიჭს გამოვიჩენთ და ყველა საქმის მოთავენიც მოწადინებული იქნებიან საქმეების ნაყოფიერად წარმოებას.

როდესაც კაცი უყურებს ზოგიერთ საერთო საქმის ცუდათ მსვლელობას, უსათუოდ ეჭვი დაებადება, რომ სხვა ახალ საამხანაგო საქმესაც ამნაირი ბედი არ ეწიოს. ამ ჟამად კავკავის ქართველი ხელოსნები აარსებენ ურთი-ერთ შორის დამხმარებელ ამხანაგობას. აზრი და საგანი ამ ამხანაგობისა რომ ყოვლად კეთილი და პატიოსანია, ეს ყოველს ეჭვს გარეშეა, მაგრამ როცა სხვა დაბანძლულ საქმეებს ჰხედავს კაცი, რასაკვირველია, ამ ახალს საზოგადო საამხანაგო საქმესაც ეჭვის თვალით შეხედავს. ყოველს შემთხვევაში ვისურვებთ, რომ ჩვენი ეჭვი არ გამართლებულიყოს და ამ ახალ ამხანაგობას უფრო ნაყოფიერად და საზოგადოდ სასარგებლოდ წარემართოს თავისი ახალი საქმეები და გამოეკეთებინოს ძველი, ამ ჟამად სულ მლაფავი საქმეებიც.

ჩვენის საზოგადო საქმეების საერთოდ კეთილად წარმართვა დამოკიდებულია, სხვათა შორის, იმ ერთს კარგს ჩვეულებაზედაც, რომელიც გააცნო ამას წინად ჩვენმა პატიოსანმა მოძღვარმა თავისს მრევლს. ეს სასურველი ჩვეულება ის არის, რომ ყველა ადამიანი თავისის ცხოვრების რომელსამე შესანიშნავ დღეს აღნიშნავს არა მარტო უთავბოლო სმაჭამითა და ქეიფით, არამედ საქველმოქმედო საქმითაც. ყველა, ნათლობა ექნება, ქორწინება თუ მიცვალებულის დასაფლავება, თუ სხვა, სასურველია აღნიშნავდეს მცირე შეწირულებით, საზოგადო საქმის დახმარებით, საზოგადო სალაროში წვლილის შეტანით. ეს აზრი კავკავში ზოგიერთებმა უკვე განახორციელეს. იმედია, მომხრე ამ ახალის საკეთილო ჩვეულებისა ჩვენში ბევრი აღმოჩნდება და, დასასრულ, ეს ჩვეულება სჯულის უმტკიცეს ჩვეულებად შეიქმნება ყველა კეთილ-შობილის ოჯახისა და კერძო კაცისათვის.

საზოგადოდ კი კავკავის ქართველობა სამაგალითოდ იღვწის საერთო საქმისათვის. ყველა ქართველი არა თუ შეძლებისა დაგვარად მხად არის ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს აქაურს სკოლას—პირ იქით, აქ თქვენ იპოვით ისეთს კერძო კაცებსაც, რომლებიც თავ-დავიწყებამდის ჰშრომობენ საზოგადო საქმისათვის, უმატებენ ახალ რასმე სასწავლებელს და ჰზრდიან საზოგადო საქმეს. წელსაც ერთმა მაგალითმა ყველას ნათლად დაანახვა, თუ რამდენი სიკეთე შეუძლიან კერძო კაცს საზოგადო საქმისათვის, თუ იგი არ არის მოკლებული მოძმის სიყვარულსა და თუ მას ცხოვრების დევიზად დაუსახავს პოეტის სიტყვები:

> კაცად მაშინ ხარ საქები,
> თუ ეს წესი წესად დარგე:
> ყოველ დღე ა შენს თავს ჰკითხო,
> აბა მე დღეს ვის რა ვარგე?

ამისთანა ბუნებისა და ძლიერი სულის პატრონი ადამიანი უფულოდაც მდიდარია. მისი სიმდიდრეა კეთილი გული, მოძმის მიმართ უანგარო და არა დონკიხოტური სიყვარული, სიყვარული იმ პატარა ცხოველ არსებისა, რომელიც შეადგენს ერის მომავალს და მისს ბედნიერებას და ეძებს მისთვის ყველა საჭიროს და სასარგებლოს. კავკავის ქართველებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ წელს ერთმა პატიოსანმა მამულის შვილმა, ღარიბმა ფულით, მაგრამ მდიდარმა სულით, რომელიც ყოველთვის დიდი მოამაგე ყოფილა და არის აქაურის საზოგადო საქმეებისა, თავისის საფასით აუშენა აქაურს სასწავლებელს ერთი მოზრდილი დარბაზი, მასწავლებლისათვის სრული ოთახი, სამზარეულო და სრული დერეფნითა, ავეჯეულობით და ყველა მოწყობილობით, რომლის ფასი, თუ არ ვცდებით, 800—900 მანეთამდის იქნება. იმედია, კავკავის ქართველი საზოგადოება ღირსეულად დააფასებს ამ პატიოსანის საზოგადო მოღვაწის ღვაწლს. ეს მაგალითი ჩვენ გვაძლევს სრულს საბუთს ის აზრი გამოვთქვათ, რომ სადაც ამისთანა მცირე შეძლების ადამიანს, როგორიც ბრძანდება ბ-ნი ი. გ. შვილევი, შეუძლიან მცირე საშუალებით ბევრის გაკეთება, იქ იმაზედ უფრო მდიდარს მეტი უნდა შეეძლოს და მთელს საზოგადოებას კიდევ მეტი, თუ საზოგადო საქმეში არ მოჰშლიან ერთობას, არ აჰყვებიან უსაფუძვლო ხმებს და არ ჩამოაგდებენ სიძულვილს საზოგადოების წევრთა შორის. ვიცი, რომ ბევრს ეს ჩემი შენიშვნა, ეს ჩემი სიტყვები სასიამოვნოდ არ დაურჩება, მაგრამ მე მაინც

> „მართალს ვიტყვი, შევიქმნები ტყუილისა მოაძბე რად?
> ვერას ვუქებ საძაგელთა, უფერულთა პირსაფერად.
> მე თუ გინდა თავიც მომჭრან, ტანი გაახდეს გასაბერად,—
> ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მას ვერ ვიტყვი კახაბერად“.

კახაბერი

ეყვლანი იტალიელები აღმოჩნდნენ და ასიოდ ანარქისტიც. ამას გამო, ახლა პრეტორიაში და საზოგადოდ აფრიკის ყველა დიდ ქალაქებში საშინელი სასტიკი ზომებია მიღებული არა მარტო იტალიელებისა და ამერიკელების წინააღმდეგ, რომლებიც თავის სიძულვილს ინგლისელების წინააღმდეგ არაფრით არ ჰმალავენ, არამედ უიტლენდერებისა და ირლანდიელების წინააღმდეგაც.

— როგორც გაზ. „Matin" სწერს, ბურების დამოუკიდებლობის მომხრე მარსელის კომიტეტის თავმჯდომარეს ბ-ნს შელის უთქვამს, რომ მედიატორის აზრით შინაურული საქმის გარჩევა ახლა შეუძლებელია. „ჰოლანდიის დელეგატის გადაწყვეტა აქვს ბურების საქმეში ჩარეოდეს, სწერს შელი, — შეუძლებელია, რომ ჰოლანდიელებს ამ საქმეში მხარი აგრეთვე რუსეთმა, საფრანგეთმა და გერმანიამ დაუჭირონ. ადვილი შესაძლებელია, რომ ეგვ ეოლოგი მომხსენებელი იყოს ამ ვიზე და ანგლო-ტრანსვაალის გაზეთებიდან საქმე მედიატორისა სამართლით გარკვეულს, რომელიც გამოხატულია თავმჯდომარისაგან დაამტკიცებულ და დამორჩილებულად დამოუკიდებლობას არ დაკარგავენო".

## ცილისწამებით თავის მართლება

(იხ. წერილი ბ-ნ ნ. თავდგირიძის მიმართ*)

თავის საპასუხო წერილში (იხ. გაზ. „ივერია" № 222, 1900 წ.) თქვენს მსჯელობას ჩემი წერილის შესახებ თქვენ ასაბუთებთ მხოლოდ ერთი ერთი მაგალითით, სახელდობრ იმით, რომ გოთომც ჩემ მიერ გამოქვეყნებული ცხრილები გაზ. „ცნობის" ოზურგეთის ქალაქის შემოსავალ-გასავლის შესახებ გასული ოთხი წლის განმავლობაში (1896—1900 წწ.) ყალბია, ჩემ მიერ გამოგონილი და მოხმარებული, ანუ როგორც თქვენ ამბობთ, გითომც მე „სიტყვით ამომიკრეფია". ამის დასამტკიცებლად „ცნობის" წლიურ ხარჯთ-აღრიცხვის ფურცლიდან თქვენ ამოგიწერიათ ქალაქ ოზურგეთის ყოველ წლის შემოსავალ-გასავლის ციფრები ნახევარ ოთხი წლის განმავლობაში, და იმავე გვერდზე, მეორე ნაწილში, ჩემ შესანიშნავი, ჩამოგეწერინებიათ ჩემ მიერ მოყვანილი ციფრები, რომლებიც არათუ დიდად განსხვავდებიან თქვენ მიერ ამოწერილ ციფრებისაგან, არამედ იმათ ერთმანეთს შორის სრულიად არაფერი მსგავსება არა აქვთ. აქედან, რასაკვირველია, თქვენ თამამად გამოგაქვთ დასკვნა, რომ მთელი ჩემი მსჯელობა ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობაზე და მის ხელმძღვანელობაზე უსაფუძვლო და უადგილოა, და ამას შემდეგ აღარ უნდა ნდობით დარჩეს ჩვენ ვიყო მე მკითხველთა მხრით. ამისათვის თქვენ უნდა უნდა გადახდა თქვენს, ბ. ო. ჟორდანია ჩემს ნაშრომს ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობაზე და მე თქვენ შეგიწყნაროთ ერთი გამოსვლით მოხმოს სწორად და სამართლიანად. მაგრამ სანამ ამას გამო საბოლოდ მიენდობოდეთ და გამარჯვებით დასტკბებოდეთ, მოვიწიე ცოტა გულდასმით მოისმენით შემდეგი:

1ო, საქმე რაშია: ქალაქის თვითმართველობის, როგორც სხვა სხვა დაწესებულების, წლის დასასრულს ანგარიშის მოსამზადებლად წლიურ ხარჯთ-აღრიცხვას, ე. ი. გარკვეულ, დასხდომებით მოსა-

*) ეს წერილი დაგვიანდა არა ავტორის მიზეზით. რედ.

ლოდნელი შემოსავალ-გასავლის ანგარიშს, რომელსაც შემდეგ ასთავისგან ამტკიცებს. როცა წელი წლის შესრულდა, მაშინ განისაზღვრება საქალაქო ამორჩეული კომისია დაწერილებით ავლებს, თუ წლის განმავლობაში ნამდვილად რამდენი შემოსავლი და რამდენი დახარჯულა. ამნაირი ყოველ წლის ბოლოს მოთავსებული უნდა იქნეს თითო შემოსავალ-გასავლის ანგარიში, სადაც ჩვენ ეტყობოდეთ ამას თუ როგორია დეპუტატები ნამდვილი ნაღდი შემოსავალის ე. ი. ნამდვილი თუ რა შემოვიდა და ან რა ხარჯია აქვს. ახლა თქვენ მითხარით: ის ნამდვილი ანგარიშები და დასაფუძნებელი წინადაცხ მდებარე ხარჯთ-აღრიცხვას, ე. ი. მოსალოდნელ შემოსავალ-გასავალს უნდა მივიღოთ უმთავრესად და ამით უნდა ვიხელმძღვანელოთ, თუ წლის ბოლოს მდებარეობა და შემოწმებული ნამდვილი შემოსავალ-გასავალი ანგარიშით? გგონიათ, რომ ამაზე სხვა ერთი გადაწყვეტა მას თუ არ შეიძლება, სახელდობრ ის, რომ საბოლოოდ ყოველთვის სწორად სახალხო ვიცოდეთ მხოლოდ ის, რაც ნამდვილად მოხდა. სწორედ ასე მოვიქეცი მე ჩემ ქალაქ ოზურგეთის შემოსავალ-გასავლის ნაწყვეტში. ამ ხაზის შესახებ მე ცნობები ამოვიწერე რომ წიგნიდან: ერთს ჰქვია „Вѣдомость о доходахъ и расходахъ гор. Озургетъ", რომელშიაც ერთი მხრით ნაჩვენებია მოსალოდნელი შემოსავალ-გასავალი, რაც თქვენ ამოგიწერიათ და მეორე მხრით ის, თუ ნამდვილად რა შემოსულა და რა დახარჯულა, რაც მე მქონდა ამოწერილი თავის წერილში; მეორე წიგნი შეიცავს სასაქალაქო კომისიის დაწვრილებით ანგარიშს თითოეული წლის ხარჯთ-აღრიცხვის შესრულების შესახებ წლის ბოლოს*). მოვიყვან აქ ზემოთ დასახელებულ წიგნიდან (Вѣд. о прих. и расх.) შემოსავალ-გასავლის ცნობებს, რომ მკითხველმა თვითონ გაიგოს, თუ რომელი ნაჩვენები ამრის სიმართლე და რომელი სტყვის.

ცხრილი შემოსავალ-გასავლის

| წლები. | მოსალოდნელი შემოსავალი, თავდგირიძის ნაჩვენები. | | ნამდვილი შემოსავალი „კვალში" ნაჩვენები. | | მოსალოდნელი ხარჯი, თავდგირიძის ნაჩვენები. | | ნამდვილი ხარჯი „კვალში" ნაჩვენები. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| 1897 | 7146 | — | 5838 | 59 | 7115 | 92 | 6153 | 27 |
| 1898 | 7329 | — | 5848 | 84 | 7329 | — | 6799 | 76 |
| 1899 | 11002 | 06 | 6773 | 95 | 10901 | 06 | 6761 | 71 |

რაც შეეხება 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვას, ე. ი. მოსალოდნელ შემოსავალ და გასავალს, ეს ჩვენ ნაწყვეტში გვქონდა ისე, როგორც ეს ხარჯთ-აღრიცხვაში დამტკიცებულია ქუთაისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს მიერ. მართალია, თქვენი ანგარიშით 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვით შემოსავალი ყოფილა 12,585 მან. 77 კაპ. და გასავალი 12,580 მან. 3 კ.,

*) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ 1898 წლის შემდეგ ქალ. ოზურგეთის ხარჯთ-აღრიცხვა კომისიის მიერ არ არის შემოწმებული, ასე რომ 1899 წლის შემოსავალ-გასავალი გამგეობის შედგენილია.

მაგრამ რადგანაც ეს არ იყო ჭეშმარიტად დასაბუთებული, საქმისა სწორედ საკრებულომ იგი ჩამოიყვანა იმ რიცხვამდე, რომელიც მოყვანილი ჩემ წერილში.

საკრებულომ საკრებულომ 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შემოსავალი 12,585 მანეთიდგან ჩამოიყვანა 9,285 მანეთამდე და ამის გვერდზე შემდეგნაირად უნდა იქნეს გასავალიც. მართალია, ეს ხარჯთ-აღრიცხვა ჯერ არ არის შესრულებული, და მხოლოდ წლის ბოლოს დავინახავთ, რა იქნება ამ წლის ნამდვილი შემოსავალ-გასავალი, მაგრამ მე ვადგილებული ვიყავი მოვიყვანე სახელმძღვანელოდ საკრებულოს საკრებულოს მიერ შესწორებული და დამტკიცებული ხარჯთ-აღრიცხვა, ისე როგორც წინა წლების შემოსავალ-გასავლის ნამდვილი გთხრობის გასაგებად უნდა მომეყვანა ის ციფრები, რომლებიც ნამდვილ შემოსავალ და ნამდვილ გასავალს აჩვენებენ, და არა თქვენებრ ფიქციურს. ნაშრომს, თქვენვე, შარ-იქით, ჩემ მიერ ჩამოყვანილი ციფრები გასაჭირველებლით მიგეჩვია შარშეულ სამი წლისთვის გადმოცემული წლის თავზე გარკვეულ შეცდენილი ხარჯთ-აღრიცხვანი და ვკანასკნელი 1900 წლისთვის თქვენ მიერ ხელმძღვანელი ანგარიში, რომელიც გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულომ არ მიიღო იმ სახით, რა სახითაც თქვენ წარადგინეთ, და ჩემ მიერ მოყვანილი ციფრების შესახებ კი გაიძახით: „მახარეს ეს „სიტყვისაგან ამოკრეფილია". გამოდის, რომ ეს ციფრები ვითომც მე შემეთხზოს. თუ ჩემს სიმართლის მოსარწმუნებლად ბრძანდებით, და ზარდაზარიდ ბრძანდებით დაკარგავთ, რათ არ დასახელდებოდით, თუ სადაც ამოვიღე ქალაქ ოზურგეთის შემოსავალ-გასავლის შესახებ ცნობები და ან რას წარმოადგენენ ისინი? სხვ კარგათ იცით, თუ რა სახელი უნდა დაერქვას ამ სახის საქციელს? ამას ჰქვია ცილისწამება. მაშასადამე თქვენ ცილით წამებით მოგვიწერებიათ თავის გამართლება, ფერხი გასცდა. მაგრამ გწყობურ, რომ ამდენი ვერ გაგიგიათ, თუ რა ასეთი იცი ეს თქვენ მიერ არჩეული გზა. მე გთხოვთ თქვენ გადაწყვიტოთ მაშასადამე: მართალია თუ არა ჩემ მიერ გამოქვეყნებული ცნობები „ცნობის" ოზურგეთის შემოსავალ გასავლის შესახებ და აგრეთვე ის, რასაც ამ წერილში გამოთქმულ საგანზე? თქვენ წერილში „ცნობის" თანამშრომლებმა სასახლოთ არავითარი წერილი არ დაწერეს", — მაგრამ ეს სხვ დღისათვის შევინახოთ, ამას აქ ადგილი არ აქვს. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ აქ საქმე თავის ქვეში რიცხვია, რასაც თქვენ ძალზე გაუფრთხილდით, არამედ სიმართლის გამორკვევაში.

ვ. მახარაძე

(დასასრული იქნება).

## ჟურნალ-გაზეთებიდან

ამოკრებილი ამბები

იტალიანური გაზეთის „Stampa"-ს სამხედრო კორესპონდენტი თავისს უკანასკნელ წერილში ალაპარაკებს იმ შაზე, რომელსაც ჰკიონის ქვეყნებში მიეცემოდა ანუ ეძლევათ ჯარის პეკინში შესვლის დროს. ჩინელები თავ ძალადუებს, ცილ-შიქ ძღვნად, რომ ევროპელების არ ხავამდოდნენ ხელშია. პეკინის ქუჩები და ეზოები ჩანგრედ ხდენი წარმოადგენდა: ყველგან ჩინელების გზადასხმები თავის მიყრილია და ცხენების გვამები გდია. კორესპონდენტი თავის კერა ნაცვლა მდიდარ ვაჭრის სახლში შეხვდეხა. ვამბიდა იქ, გამოჩნდა კორესპონდენტი, მოხუცი ჩინელი, რა-

მოხუცი, მოხუცი ეზოში გამოიყვანა და მითხრა: „ამა შეხედე, რა იმშვია აქ". ეზოში დავინახე ცამეტი ახალგაზრდა ჩინელ ქალი გვამი. მოხუცმა შემდეგი მიამბო.

„როდესაც პეკინში ხმა გავრცელდა, რომ მოკავშირეთა ჯარი ქალაქს ალყაში აქცევს, ჩემ მოგლე ოჯახი შიშმა მოიცვა. ყველას ეგონა, სიკვდილი აუცილებელი იქნებაო ჩვენთვისაო. ჩემმა ვაჟიშვილმა თქვა: „მე მოხუცი ვარ და სიკვდილიც არ მეშინიან, მაგრამ არ მინდა ბარბაროსთა ხელში მოვყვე, არ მინდა იმ ბარბარობებმა შეურაცხყოფა მიაყენონ და მერე თავისით უწყალოდ ხელში სიცოცხლე გამოასალმონ ჩემი ქალები, ნათესავნი და მოახლენი, გადაწყვიტეთ სიცოცხლეს მოვისპო. დარიგება ჩვენი ქალებიც, ისინიც ასევე მოიქცნენ". ჩემმა გადაწყვეტამ მოხუცი ჩუ, მაგრამ ბოლოს ქალის გადაწყვეტილი უთხრა ცოლს: „შენ გარდასახვ ხარ. სირცხვილის თავიდან ასაცილებლად ერთად-ერთი გზა-და დაგვრჩა ნის—თვით გამოვესალმოთ წუთის-სოფელს". შემდეგ მამამ თავი მოუყარა ქალებს და შემდეგის სიტყვით მიმართა მათ: „თქვენ კარგად იცით, შვილებო, რომ ჩვენ ქალაქში უცხო ქვეყნების ჯარი შემოდის. სასტიკად დაგვსჯიან და არავის არ დაგვინდობენ ეს უცხო-ქვეყნებელი ჩვენი ერი კიდევ მიგველოდინ მოჩიან. ცხადია, რომ სიკვდილი გარდუვალია და თქვენ კარგად იცით ისიც, რომ ამათი სიკვდილი ჩვენ სახელს შეუბღალავს. თქვენ „სიკვდილი" სიკვდილად მიგვიჩნევია". ქალებმა ერთხმად მიუგეს: „ჩვენ ვიცით, მამავ, რომ არავინ უნდა მოვიკლა და, დარწმუნდი არ გვინდა". მოხუცმა მამამ უკანასკნელად ალერსით გადაეფარა თავის ქალებს. შემდეგ ქვეყანა გარდა ყველამ მოკლა ... თავის ქალს შემდეგ არცერთი გადაურჩა. გვამები ეზოში მისცემია. ამ უბედურ ქალებს სიკვდილის ... ის, სადაც ისინი სამხრეთ ჩაწვანენ და მიაბოდნენ.

* *
*

რუმინული გაზეთები გადმოგვცემენ ტრაგიკულ ამბავს, რომელიც ქალ. სულინაში მომხდარა. ... გუბერნატორის ქალის ... საქმროსთან ... ქორწილის ... ხმაურით. ... კრის ... ბოლოს ... საყვარელის უთხოვნია.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 ნოემბერი

**პეკინი.** ერთი ჩინელი მანდარინი იუწყება: ქვრივი იმპერატრიცა უკვე ხედავს, რა დიდი განსაცდელი მოელის სამეფოს კარსა და ამჟამინდ, თუ არ აჩქარდება და არ ეცდება დიდ სახელმწიფოთა სურვილის აღსრულებით იმათთან შერიგებას. მოხუცი იმ ბრძანების გამოცემისა, რომ-

ლითაც ტუნ-ფუსიანი დათხოვნილია, ის არის, რომ ქვრივი იმპერატრიცა, რომელსაც ინგლისში ეშინია-კორონელებმა შეატყობინეს: ინგლისისა და მეორენიც ხანით მუდამ ექსპედიციებს განზრახვა აქვთ სასახლეში მისასვლელ ხელისას გზა შეუკრან, დიდ მოუხერხებლობაში. ეს მანდარინი იმავე ამბავს, რომ სასახლე მზად არის საცხოვრის დასაცლელად და ეს სასახლეში, თუ დღეს არა, ხვალ მოხდეს, ოლონდ ამიერი მთავრობის გადასაცემ ერთ ბოლოდ. რაც შეეხება ტუნ-ფუსიანის კანცვიო დაბრუნებასა და იმ მიზეზი ბრძანების, რომ დათხოვნილ იქნას მის მამამთავარის ჯარი, 5500 კაცისაგან შემდგარი, — მანდარინი ამბობს, რომ მამამთავარი ამბობენ შიში, რომელიც კოველთვის თავს დასტრიალებს ჩინეთს, უფრო გაძლიერდებაო.

**პეკინი.** ჩვეულებრივ წერილობითის საშუალებით მიმართა გაღლერსებს იმის გამო, რომ გერმანელმა და ფრანგებმა ობსერვატორიიდან იარაღი ჩამოიღეს. მისი წერილი უკანვე დაუბრუნეს წერილის ავტორს გამო, შემდეგ ჩვეულებრივ ფილებში თოფი დესპანი, რომ დაღუპვა ამ გზით კულუარულ ხდება, სასახლის სამხედროდ იარაღი, ამერიკის დესპანს მიმართა ბოლო დაკეტილი იქნება და ამ კარით სიარული აღიკრძალება. ელჩების შეურაცხყოფილმა მინისტრმა იმის გამო, რომ ჩაფუჩ თავისის უფლების საზღვარს გადადიოდა.

**შანხაი.** სიმურის უკანასკნელად ინგლისში წასვლის შესახებ წერილში ნათქვამია: სიმურმა ჩვენ ჩვენს ჩინეთის სრულიად დარწმუნებული იყო, რომ გერმანია და ინგლისი ერთმანეთს თანხმობით ჰქონდეთ და ამათი ინტერესები კოველს შუბლში ერთ გზაზეა.

**შანხაი.** სიანფუდან დეპეშა მიიღეს, რომ ტუნ-ფუსიანი, იმპერატორის ბრძანების თანახმად, ამას წინად კანსუს პროვინციაში წავიდა.

**პეკინი.** იუნ-ლუ ახლა სამეფო კარის ყრილობის, იმპერატრიცა სწეულის და ჯარის ავრეული, რომელსაც, თუ სპერირობა მოითხოვს, სამეფო კარის დაცვა ექნება მინდობილი.

**შანხაი.** ცზუჩიანის პროვინციის დარტაი პაოსინის ის ბრალი ედება, რომ მან ხელი შეუწყო ლაზალეს დახოცვანი ილარიონის ლისგვარი. ამ ამბავის მიმართ ... საქმეს თუ პირს დაიკვეთენ, ადგილობრივ ... ხმამაღლა ...

**ბერლინი.** ვოლფიის ბიუროის იუწყება, რომ 22 ნოემბერს ცზინან ისტი დაპყრობილი, რომ ჩინელებმა ზარალისათვის ბარაფები; ჩინელები ადრევე დარბოდნენ უკან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. რარაშილტის და ფოლკმის ჯარები, რამდენიმე ... ...

**შანხაი.** იუწყებიან, რომ, ვოლდერზის ბრძანებით, ლიუნჩუნანის მდივანი, სახელ წოდებით ვიკო, მანჯურია, დააპატიმრეს ... ჩადიან და ... „რომ მე-ტკიცებს, რომ მიყოლი ... ერთობა ჰქონდაო.

**შანხაი.** ტიანძინიდან ამბავი მოვიდა, რომ ... იირკი მოკლულია.

**ნიუ იორკი.** პეკინიდან იუწყებიან, რომ ელჩებმა, ინგლისის ელჩის

გარდა, თავ თავიანთ მთავრობისაგან მიიღეს დარიგება, რომლითაც, სხვათა შორის, უკანასკნელს თათბირზედ შედგენილი ნოტა მოწონებულიაო. ელჩები სამშაბათს კვლავ შეიკრიბებიან და თუ ინგლისის ელჩიც მიიღებს დარიგებას, ერთობილს ნოტაზედ ხელს მოაწერენ და მაშინვე მიწერ-მოწერას გამართვენ ჩინეთის რწმუნებულებთან. პრინცმა ცინმა სთქვა, რომ იმპერატორი მზად არის დაბრუნდეს პეკინში, და დაბრუნდება კიდეც, დარწმუნდება თუ არა, რომ მოლაპარაკება შეძლებას მისცემს უშიშრად და ღირსებით დაბრუნებისასაო. ელჩები იმ აზრისანი არიან, რომ რაკი ტუნფუსიანს ჩამოერთვა სამეფო კარის ჯარის უფროსობა, სჩანს მთავრობას სურვილი აქვს ელჩებთან შეთანხმებისაო. განზრახვა აქვთ, საელჩო შენობანი ააგონ დასავლეთით ქალაქის თათართა ნაწილიდგან. ეს შენობანი თხრილით იქმნება გარშემოვლებული, ასალები ხიდები გაიმართება და იქვე იქმნება საერთაშორისო დარაჯი, რაც-კი ეყოფა მთელ იმ ადგილის დაცვას. ამ შენობათა მიერ დაჭერილს ადგილში არავითარის სხვა შენობის აგების ნება აღარავის მიეცემა, უცხო-ქვეყნელთა კლუბების გარდა.

**ლივადია**, 28 ნოემბერი, დილის 11 საათი. ხელმწიფე იმპერატორმა წარსული დღეები ძალიან კარგად გაატარა; განკურნება წესიერად მიმდინარეობს; მადა ძალიან კარგი აქვს; ღონე დღითი დღე ემატება; ტემპერატურა და მაჯა ნორმალური აქვს. ლეიბ-ქირურგი გირში; საპატიო ლეიბ-მკურნალი პოპოვი; მკურნალი ტიხონოვი.

28 ნოემბერი

**ლისსაბონი**. ინგლისის დედოფალმა პორტუგალიის მეფეს მილოცვის დეპეშის პასუხად მადლობის დეპეშა გაუგზავნა.

**ლონდონი**. საზოგადოებათა პალატა. კრონბორმა განაცხადა. მთავრობას ეცნობა, რომ მოკავშირეთა აწინდელ განკარგულებას პეკინ-შანჰაგუანის რკინის გზის შესახებ დროებითი მნიშვნელობა აქვსო. ორატორმა სთქვა, მოუხერხებლად მიმაჩნია განვმარტო არსებული შეთანხმებანი, მაგრამ მთავრობა შემდეგშიაც დიდის გულის ყურით მოეკიდება ამ საქმესაო.

**ბერლინი**. მთავარსარდალი პეკინიდგან იუწყება, რომ შანჰაგუანში დარჩენილმა გიუნდელლის ჯარმა, რომელიც მეორე ქვეითა რაზმის პირველ ბატალიონისაგან შესდგება, 25 ნოემბერს იუნშიფით პეკინში მიმავალმა იუეშინსენს მიაღწიაო. საერთაშორისო კომისია პეკინის ადმინისტრატიულად განსაგებად შეიკრიბება ხვალ გენერალის გაილის თავმჯდომარეობითაო.

**სოფია**. ახალი სამინისტრო შესდგა. მინისტრ-პრეზიდენტად და ფინანსთა მინისტრად არის ივანჩოვი, შინაგან საქმეთა მინისტრად—გენერალი პეტროვი, გარეშე საქმეთა და სარწმუნოებათა—ტონჩევი, ვაჭრობისა და მეურნეობისა—ტიტოროვი, საერო განათლებისა—პეევი, სჯულის საქმეთა—დანჩოვი და სამხედრო—პატრიკოვი. საზოგადო საქმეთა მინისტრად დროებით პატრიკოვივე იქმნა დანიშნული.

**ბერლინი**. იმპერიის სეიმი. ბიუჯეტის განხილვის დროს ნაციონალ-ლიბერალმა ზატტლერმა სთხოვა იმპერიის კანცლერს, განემარტა თავისს პოლიტიკა.—იმ პოლიტიკას, რომელსაც დღემდე მთავრობა მისდევდა და რომელიც იცავდა სამთა კავშირს და სცდილობდა რუსეთთან კარგა განწყობილების დაჭერას, ნაციონალ-ლიბერალთა დასი იწონებსო, განაცხადა ორატორმა. მე მსურს გავიგო, სთქვა ზატტლერმა, რატომ არ იქმნა მიღებული კრიუგერი; გერმანიის ერი ბურების მხარესაა, ყოველს შემთხვევაში მთავრობა ვალდებულია, თავისს პოლიტიკაში ხელმძღვანელობდეს სიმპატიებით-კი არა, არამედ სახელმწიფოს ინტერესებითაო. განმარტება მთავრობის პოლიტიკისა მოითხოვა აგრეთვე კონსერვატორმა ლიმბურგმა. სამწუხაროაო, სთქვა ორატორმა, რომ კრიუგერს ისეთი პატივი არ ეცა, როგორიც შეჰფეროდა. დარწმუნებული ვარ, რომ იმპერიის კანცლერის განმარტებანი შიშს გაჰფანტავენო. იმპერიის კანცლერმა მიუგო, რომ გერმანიის მთავრობამ ომის დაწყებამდე წინადადება მისცა ტრანსვაალს მიჰმართოს სამედიატორო სასამართლოს, მაგრამ კრიუგერმა არ მიიღო რჩევა. ხოლო როდესაც თვით მოისურვა უთანხმოების სამედიატორო სასამართლოს შემწეობით გადაწყვეტა, უკვე გვიან იყო, რაიცა გერმანიამ აღნიშნაო. კრიუგერის ბერლინში მისვლის შესახებ ბიულოვმა სთქვა, რომ საქმე ის კი არ არის, სასიამო ან უსიამოვნო იყო კრიუგერისთვის უარის მიღება, არამედ ის, კრიუგერის ბერლინში მოსვლა მოუტანდა თუ არ სარგებლობას ბურებისა და გერმანიის ინტერესებსაო? კანცლერმა გადაწყვეტით განაცხადაო—არაო. კრიუგერის ბერლინში ყოფნით გამოწვეული ოვაციები ან უაზრო ფეიერკერკად გადაიქცეოდა, ან წაახდენდა გერმანიის გარეშე დამოკიდებულებას. გერმანია იმდენადვე და არა მეტად დამოკიდებულია ინგლისისაგან, რამდენადაც ინგლისი გერმანიისაგან. გერმანიის მთავრობას აზრად არა აქვს დონ-კიხოტის როლი ითამაშოს ინგლისის მიმართ; იცის, რომ სამხრეთ-აფრიკის ომის შემდეგ თავისი ინტერესები სავსებით დაცული იქმნება. მთავრობა ყოველს თავისს მოქმედებაში ერის ინტერესებით ხელმძღვანელობსო (მოწონების ნიშნები).

**პეკინი**. მოკავშირეთ კომისია დანიშნეს პეკინის ადმინისტრატიულად განსაგებად. ფრანგებმა მოულოდნელად თავი მიანებეს საასტრანომიო იარაღის ჩამოღებას ქალაქის კედლიდგან. ნემცები განაგრძობენ ამ საქმეს.

## მადლობის გამოცხადება

ათს ოქტომბერს სოფელ კარდენახის სცენის მოყვარეთ გამართეს წარმოდგენა კარდენახის სახალხო სამკითხველოს სასარგებლოდ. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. შემოვიდა ათი თუმანი და ცხრა მანეთი. ამ ფულიდგან დაიხარჯა სამ თუმან ნახევარი და ორი აბაზი. წმინდა შემოსავალი დარჩა შვიდი თუმანი და სამი მანეთი და სამი აბაზი.

დიდს მადლობას მოვახსენებ საერთოდ ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღეს ამ წარმოდგენაში.

სამკითხველოს გამგე კნ. ელენე ილიას ასული აფხაზი


## ახ ლ მოდის ტანისამოსის ანდაზები

1900/1 წლის ნიმუშებისა, სქელს ქაღალდზედ, გამოსაჭრელ ტანისამოსის ზომისა.

| | | | |
|---|---|---|---|
| ლიფი ახალის სახელოებით | 40 კ. | კაპოტ-პრინსეზი | 50 კ. |
| ინგლისური პერანგი | 35 „ | ტანისამოსი-პრინსეზი | 50 „ |
| კოფტა მატინე ნაოჭებით | 40 „ | სხვა-და-სხვა როტონდები | 60 „ |
| სასეირნო იუბკა | 35 „ | ჟაკეტ-საკი | 40 „ |
| საბალო, ან საპატარძლო იუბკა | 50 „ | მოკლე პალტო-საკი | 50 „ |
| სადარბაზო იუბკა | 35 „ | პალტო-საკი | 60 „ |
| იუბკა ამაზონით | 75 „ | ქურქი-საკი | 50 „ |

ვინც თავის ზომას გაგზავნის ტანისამოსის გამოსაჭრელად, თითო გამოჭრა 20 კ. მეტი ღირს.

აგრეთვე გვაქვს გამოჭრილი ნიმუშები: ბავშვებისა (ქალისა და ვაჟის) მთელი ტანისამოსი 30 კაპეიკიდგან, მამაკაცთა (სამოქალაქო, სამხედრო და სასულიერო წოდების კაცთათვის)—კატალოგით. ერთის ტანისამოსის ანდაზის გაგზავნა დაზღვეულის ბანდეროლით ღირს 11 კ. თუ რამდენიმეა დაკვეთილი, მაშინ ყოველ მეტის გასაგზავნად დაემატება 4 კ. ფულის გამოგზავნა ფოსტის მარკებით შეიძლება. ფასდადებით ანდაზები არ გაიგზავნება. ვინც ერთად 5 და მეტს ანდაზას გამოიწერს, მანეთზედ 25 კ. დაეთმობა.

ყველა მოდის ჟურნალთა მთავარი საწყობი

**ი. ა. პოზინისა**, მოსკოვი, ალექსანდრეს პასაჟი. (4)

ჟურნალთა და ანდაზათა კატალოგი უფასოდ იგზავნება.



პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„კვერცხის რძე“**

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია**: დიდი ქილა—2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გავგზავნებათ. (100—211—13)


# გალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 ნოემბრისათვის 1900 წლისა.

## ა ქ ტ ი ვ ი.

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) | | 14741 | 72 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში | | 100 | — |
| III. „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში | | 124 | 54 |
| IV. პირობა-დადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ. | | 1000 | — |
| V. სარგებლიანი ქაღ., საზოგადოების საკუთარნი. | | | |
| ა) უზრუნველ-ყოფილნი: | 2076—26 | | |
| ბ) არა-უზრუნველ ყოფილნი: | 3999—95 | 6076 | 21 |
| VI. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი. | | 3904 | 34 |
| VII. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი | | 263758 | 16 |
| VIII პროტესტში წასული თამასუქები | | 794 | 65 |
| IX. განაღდება %-იან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხ. | | 1019 | — |
| X. გირაოთი გაცემული სესხი: | | | |
| ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. | 11181—10 | | |
| ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. | 47517— | | |
| გ) საქონელზედ | 16388—13 | | |
| დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარმ. | 4414— | 79500 | 23 |
| XI დასაბრუნებელი ხარჯი | | 131 | 61 |
| XII. მოწყობა-მომართვა | | 2037 | 48 |
| XIII. კორესპონდენტები: | | | |
| ა) იმათის ანგარიშით (loro) | 22161—06 | | |
| ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) | 3000— | 25161 | 06 |
| XIV. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი | | 127 | 84 |
| XV. სხვა და-სხვა დებიტორები | | 288 | 29 |
| XVI. გარდასაცემი თანხა | | 1618 | 74 |
| XVII. მიმდინარე ხარჯი | | 11113 | 72 |
| ს უ ლ | | 411497 | 59 |

## პ ა ს ს ი ვ ი.

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 802 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრი ფულიდგან | | 83991 | — |
| II. სათადარიგო თანხა | | 3917 | 29 |
| III. სათადარიგო თანხის %-იან ქაღალდების სარგებელი | | 54 | 76 |
| IV. შემოტანილი ფული: | | | |
| ა) მიმდინარე ანგარიშით | 84451—73 | | |
| ბ) ვადით | 131925— | | |
| გ) უვადოდ | 370— | 21674 | 73 |
| V. გარდასაცემი თანხა | | 1700 | 40 |
| VI. გარდასახდელი სარგებელი | | 328 | 06 |
| VII. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა | | 37 | 16 |
| VIII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე 12 და 13 §§-ის თანახმად. | | 300 | — |
| IX. კორესპონდენტები: | | | |
| ა) იმათის ანგარიშით (loro) | 16150— | | |
| ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) | 4664—10 | 20814 | 10 |
| X. განაღდება თამასუქებისა სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში | | 27250 | — |
| XI. განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიში კერძო საკრედიტო დაწესებულებანში: | | | |
| ა) თამასუქების უზრუნველ-ყოფით | 2—98 | | |
| ბ) %-ან ქაღალდებ. უზრუნ.-ყოფით. | 34000— | 34002 | 98 |
| XII. წაუღებელი დივიდენდი: | | | |
| ა) 1898 წლისა | 921—37 | | |
| ბ) 1899 წლისა | 2026— | 2947 | 37 |
| XIII. მიღებული სარგებელი | | 18872 | 54 |
| XIV. 1900 წლ. მოგებისა და ზარალის ანგარიში | | 535 | 20 |
| ს უ ლ | | 411497 | 59 |
| პასუხის-მგებლობა 802 წევრისა 10-%-იან შემოსატანს გარდ. | | 755919 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება. | | 6100 | — |
| თამასუქები საკომისიოდ | | 846 | 40 |

1—6.—1